საენათმეცნიერო კრებული—Лингвистический сборник
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—АН Грузинской ССР

1979

ზ. ალიქსიძე

შუშანიკი — ინტერნაციონალური წმინდანი

შუშანიკი ქართველთა და სომეხთა საერთო წმინდანია. იგი წარმოშობით სომეხი იყო („ასული ვარდანისი სომეხთა სპაჲპეტისაჲ"), მაგრამ აღიზარდა საქართველოში, ცხოვრების უდიდესი ნაწილი აქ გაატარა, აქ აღესრულა მოწამებრივად და აქვე დაიმარხა. ქართველთათვის სომეხი ქალი გახდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქართული სარწმუნოებისათვის თავდადების სიმბოლო. ამიტომ ეცილება ამ ორი ხალხის ეკლესია და მწერლობა ერთმანეთს მათი საერთო წმინდანის ცხოვრებისა და მოწამეობის აღწერის პრიორიტეტში და იმაშიც კი, თუ სად არის დღეს მისი სათლავი — ახპატსა თუ მეტეხში. როგორ და რატომ მოხდა, რომ ერთი და იგივე მოწამე მონოფიზიტურმა ეკლესიამაც თავის წმინდანად შერაცხა და დიოფიზიტურმაც?

ძვ. წ. I საუკუნეში სომხეთის მეფემ ტიგრან დიდმა მცირე და წინა აზიის უდიდეს ტერიტორიაზე გადაჭიმულ თავის იმპერიას ჩრდილოეთით ქართლის სამეფოს სამხრეთი პროვინციებიც შესძინა, რომელთა შორის იყო გუგარეთის (ბერძნ. Γωγαρηνή. სომხ. Գուգարք) საპიტიახშო, სადაც მოგვიანებით „შუშანიკის მარტვილობაში" აღწერილი ტრაგედია დატრიალდა. ეს პროვინცია ქართლის სამეფოს მთლიანად მხოლოდ ახ. წ. 387 წ. დაუბრუნდა. მას შემდეგ, რაც სომხეთი ბიზანტიამ და ირანმა შუაზე გაიყვეს, გუგარეთის პიტიახში ქართლის პიტიახშიც გახდა და სახელმწიფო იერარქიაში მეფის მომდევნო ადგილი დაიკავა.

გუგარეთი სომხეთსა და საქართველოს შორის სასაზღვრო ქვეყანა იყო, პოლიტიკურად ხან ერთ სახელმწიფოს ეკუთვნოდა,

ხან მეორეს. ამიტომ არის, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად სომხებიც სახლობდნენ. ცურტავის საეპისკოპოსოში სომხურ მოსახლეობას ჰყავდა თავისი თემი მონასტრებით, ბერებით, სოფლის მღვდლებით (ეპისტოლეთა წიგნი). გუგარეთის სომხურ მოსახლეობაში ორივე სოციალური ფენა იყო — აზნაურობა და გლეხობა. ზედა ფენა გამრავლდა და გაძლიერდა სომხეთის 451 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც სომეხ წარჩინებულთა ოჯახებმა თავი ქართლს შემოაფარეს. ნაწილი, როგორც ცნობილია, მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნდა და ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში (ვაჰან მამიკონიანი), ნაწილი კი, ალბათ, გუგარეთში დამკვიდრდა საბოლოოდ.

ქართლის პიტიახშის მეუღლე რომ გახდა, შუშანიკმა საგანგებოდ იზრუნა ცურტავის სამწყსოს სომხურ თემზე, მისთვის ეროვნული სახის შენარჩუნებაზე და ცურტავის საეპისკოპოსოში ქართული ენის გვერდით მღვდელთმსახურებაში სომხურიც დააკანონა თუ განიზრახა მისი დაკანონება. ასე ყოყმანით იმიტომ ვწერთ, რომ წყაროები იმასაც გვაუწყებენ, რომ თვითონ შუშანიკმა დააწესა სომხურ ენაზე მღვდელთმსახურების აღსრულება ცურტავში და იმასაც, რომ შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ მის საპატიოდ შემოიღეს აქ ეს ახალი წესი. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ შუშანიკი ორ ენაზე მღვდელთმსახურების შემოღებას თვითონ აპირებდა და თუ ეს უფრო გვიან მოხდა, შემდეგში მხოლოდ აღასრულეს მისი სურვილი.

შუშანიკიდან მოკიდებული ცურტავის სამწყსოში დამკვიდრებულა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც სამღვდლოდ მოსამზადებლად განკუთვნილ ჭაბუკებს ქართულ მწიგნობრობასაც ასწავლიდნენ და სომხურსაც. ამ დროიდან მოკიდებული ცურტავის ეპისკოპოსებსაც ორენოვნება მოეთხოვებოდათ. სომხური წარმოშობის პირი ქართულ ენასა და მწერლობას აქვე, ქართულ გარემოში სწავლობდა, ქართველი კი სომხეთში იგზავნებოდა სომხური ენისა და მწერლობის დასაუფლებლად, რადგან ადგილზე ამის პირობები, როგორც ჩანს, არ არსებობდა (ეპისტოლეთა წიგნი).

ცურტავის სომხური სამწყსოს ასეთმა მფარველობამ და მისი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ზრუნვამ შუშანიკს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. მისი მოწამეობის შემდეგ მარტვილის კულტი გუგარეთიდან თანდათან სრულიად სომეხთა ეკლესიაშიც გავრცელდა. VII ს-ის

დამდეგს საქართველოს და სომხეთის ეკლესიების მესვეურთა მიმოწერიდან ჩანს, რომ შუშანიკი სომხური ეკლესიისათვის უკვე წმინდანია. დროთა განმავლობაში, როგორც ეს X საუკუნის სომხურ წყაროშია დადასტურებული (უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან"), შუშანიკის განსასვენებელი სომხეთიდან ჩამოსულ პილიგრიმთა მოსალოცად ადგილად ქცეულა. მაგრამ სომხური ეკლესია ამით არა კმაყოფილდება. X საუკუნის მიწურულს იგი ცურტავში ავზავნის ისტორიკოს უხტანესს, რათა მან ადგილზე შეკრიბოს წერილობითი და ზეპირი ცნობები შუშანიკის მოწამეობის შესახებ. მართლაც, უხტანესი გასცნობია იაკობ ხუცესის თხზულებას და მოუნახულებია შუშანიკის წამების ადგილები. არ არის გამორიცხული, რომ „შუშანიკის მარტვილობის" სომხური ვერსიის წარმოშობა უხტანესის ამ მისიას უშუალოდ უკავშირდებოდეს.

გუგარეთი აღმოჩნდა ის დენთის საწყობი, სადაც იფეთქა განხეთქილებამ ქართულსა და სომხურ ეკლესიებს შორის VII საუკუნის დამდეგს. ცურტავის ეპისკოპოსმა, წარმოშობით სომეხმა, მოსემ და მისი მრევლის სომხურმა თემმა მხარი არ დაუჭირეს ქართლის ეკლესიის ქალკედონურ და ბრობიზანტიურ ორიენტაციას. რადგან მასში ქართული ეროვნული პოლიტიკის გატარების ენერგიული ცდა დაინახეს. ქართლის კათალიკოსმა, როგორც ჩანს, მიზნად დაისახა ამ შერეული მოსახლეობის პროვინციის გაქართველება და მღვდელთმსახურებაში სომხური ენის მოშლა, თუმცა კი ხმამაღლა ამას იგი არ აღიარებდა. კირონ ქართლის კათალიკოსმა კარგად იცოდა, რომ სომხურ ენაზე მღვდელთმსახურების შემოღებას ცურტავში შუშანიკის სახელს უკავშირებდნენ და სანამ მისი საფლავი სომეხ სამღვდელოთა მოსალოცად ადგილად რჩებოდა, გუგარეთში ამ პოლიტიკის განხორციელება გაძნელდებოდა. ამიტომ, შესაძლოა, მართალია ზეპირი გადმოცემა ქართლის კათალიკოსის მიერ შუშანიკის ნეშტის თბილისში გადმოსვენების შესახებ, თუმცა სომხურმა ეკლესიამ ამ გადმოცემას თავისი ტრადიცია დაუპირისპირა შუშანიკის ნეშტის ახპატში გადასვენების შესახებ. ასეა თუ ისე, ორივე ცნობით შუშანიკის ნეშტი რაღაც პერიოდში ცურტავიდან გადაუსვენებიათ. საკითხავი ახლა ის არის, როდის მოხდა ეს და რით იყო გამოწვეული? უხტანესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, X საუკუნის ბოლოს ცურტავში კიდევ უჩვენებდნენ შუშანიკის განსასვენებელ ადგილს, სადაც იგი თვითონ მრავალჯერ ყოფილა მოსალოცად. მაგრამ ამ ცნობაში ავტორი შესაძლოა ყოფილ განსასვენებელს გულის-

ხმობდეს. ჩვენ ბევრი შემთხვევა ვიცით, როდესაც მოწამის ნეშტს სხვაგან გადაასვენებდნენ ხოლმე, მაგრამ ძველი საფლავი იმგვარ-საც, ხშირად უფრო მეტ მნიშვნელობას ინარჩუნებდა, ვიდრე იძენ-და ახალი.

ამრიგად, ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილება შუშანიკის სახელს დაუკავშირდა. საქართველოში მოსახლე სომხობისათვის ის გახდა სომხური მშობლიური სარწმუ-ნოების სიმბოლო, ხოლო მისი განსასვენებელი ამ სიმბოლოს მატე-რიალური გამოსახულება. ქართული ეკლესია ამ სიმბოლოს მოხს-ნას შეეცადა, მაგრამ ისე, რომ შუშანიკის ხსოვნისათვის მცირეო-დენი ბიწიც არ მიუყენებია. პირიქით, მან შუშანიკი ქართული ეროვნული წმინდანების პირველ რიგებში ჩააყენა. ამას, როგორც ჩანს, ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, შუშანიკის ბრძოლა ქმრისა და მისი ოჯახის გამაზდეანების წინააღმდეგ ქართული სახელმწი-ფოს მაშინდელი საერთაშორისო ძდგომარეობის პირობებში რეა-ლურად სწორედ ქართული ეროვნული საქმისათვის თავგანწირვას ნიშნავდა და ქართულმა ეკლესიამ ჯეროვნად დააფასა ეს მისი თავ-დადება. მეორეც, შუშანიკის ქართულ ეროვნულ წმინდანად შე-რაცხვა მის სამარტვილეში მაინცადამაინც სომხური მღვდელთმსა-ხურების არსებობის აუცილებლობას ხსნიდა.

მაგრამ ყველაფერი ეს ეროვნული საკითხებია, რომელსაც თა-ვისი იდეოლოგიური მხარეც აქვს.

სომხეთი და ქართლი თითქმის ერთდროულად (IV საუკუნის დასაწყისში) გაქრისტიანდნენ. კავკასიური ტრადიციით ამ ქვეყნე-ბის განმანათლებლები (გრიგოლ პართელი და ნინო კაპადოკიელი) ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულები — ეს იყო ერთი მისიის ორი განშტოება. ორივე განმანათლებლის კულტი შესულია ორთა-ვე ხალხის ეკლესიაში და ორივე ენაზე არსებობს როგორც მათი ცხოვრებები, ისე მათზე საგალობლები.

ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებით კავ-კასიის ქვეყნები დაუპირისპირდნენ მაზდეანურ ირანს, ხოლო უფ-რო გვიან, მთელი ათი საუკუნის განმავლობაში, ისინი თითქმის სრულიად მარტონი იმყოფებოდნენ მუსლიმანურ გარემოცვაში. მაგრამ კავკასიაში უპირატესობისათვის ბრძოლის დროს ერთმანე-თის გავლენისაგან თავდაცვის საჭიროება საერთო იდეოლოგიის შიგნით განსხვავებასაც მოითხოვდა. ამიტომ ქართლისა და სომხე-თის ეკლესიებმა ქრისტიანობის იმ განშტოებათაგან, აღმოსავლე-

თის ეკლესიაში V საუკუნის შუა ხანებში რომ ჩამოყალიბდნენ, სხვადასხვა მიმდინარეობა აირჩიეს

სომხები ქრისტიანობის აღიარებით ირანს კი დაუპირისპირდნენ, მაგრამ მისი აღმოსავლური სახის — მონოფიზიტობის არჩევით ბიზანტიასაც გაემიჯნენ. ამით მათ ძლიერი ერთმორწმუნე მოკავშირე დაკარგეს. სამაგიეროდ ეკლესიამ მთლიანად ეროვნული ხასიათი მიიღო, დაკარგული სახელმწიფოებრიობის შეცვლა შეძლო და, უფრო გვიან, მთელ მსოფლიოში სომხური დიასპორის გაერთიანება მოახერხა.

კავკასიოლოგიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ 451 წლიდან VII საუკუნის დამდეგამდე ქართული ეკლესიის ოფიციალური მრწამსი მონოფიზიტობა იყო და სომხურ ეკლესიასთან იდეოლოგიური ერთიანობა ამ ბაზაზე ხორციელდებოდა. შუშანიკის კულტის ორივე ეკლესიაში არსებობა თითქოს ამ თეზისის დამადასტურებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგივე ფაქტი ამ თეზისს უარყოფს კიდეც: რატომ არ წაშალა ქართულმა ქალკედონურმა ეკლესიამ თავისი ძველი მონოფიზიტობის კვალი და რატომ არ აიღო ხელი სომხურ ეკლესიასთან საერთო წმინდანებზე?

საქმე ის არის, რომ ქალკედონური ისტორიოგრაფიის შეხედულებით დვინის საკათალიკოსომ მონოფიზიტობა მიიღო მხოლოდ 551 წლის დვინის II ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე. მანამდე იგი დასაბამიდან მართლმადიდებლური იყო ქართლის ეკლესიასთან ერთად. ამიტომ არის, რომ ქართული და საერთოდ ქალკედონური ეკლესია სცნობს ყველა იმ საეკლესიო მოღვაწესა და წმინდანს, რომლებიც სომხეთში 551 წლამდე მოღვაწეობდნენ. ამიტომვე არ ეშინია მას, რომ ვინმე მონოფიზიტობაში ჩაუთვლის, თუ კი ამ ხანების მოღვაწეთა შორის სომხურ ეკლესიასთან საერთო წმინდანები აღმოაჩნდება. მაგრამ ეს იყო ქართული ეკლესიის სუბიექტური შეხედულება კავკასიის ქვეყნების საეკლესიო ისტორიაზე. როგორი იყო ვითარება სინამდვილეში?

საისტორიო წყაროები გვიჩვენებენ, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის ქვეყნები იმდენად იყვნენ დაკავებულნი ირანისა და მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლით, რომ მონოფიზიტურ-დიოფიზიტურ პოლემიკაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ კამათმა ჩვენს ქვეყნებამდე მოაღწია მხოლოდ VI საუკუნის დამდეგს და ისიც ზენონ კეისრის შემარიგებლური „ჰენოტიკონის“ დონეზე.

ამრიგად, შუშანიკის წამება და მისი კულტის აღმოცენება და-

ემთხვა კავკასიის ეკლესიების ნეიტრალობას მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის კამათისადმი. თვითონ მოწამემ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ეროვნულ ეკლესიას მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო სომხურს — ცურტავის ეპარქიის სომხური თემის გაძლიერებაში. ყოველივე ამან შუშანიკს სრულიად კავკასიის წმიდანის სახელი მოუპოვა. მაგრამ ვინაიდან აგიოგრაფიამ მისი მხოლოდ ქართული ეკლესიის წინაშე დამსახურება ასახა, შუშანიკიც მხოლოდ საქართველოში აღმოჩნდა ეროვნულ გმირთა სიაში.

დღეს უკვე ძნელია კონკრეტულად წარმოვიდგინოთ, რა ხდებოდა ქართლის სამეფოში V საუკუნის 60—70-იან წლებში, მაგრამ ის კი აშკარა უნდა იყოს, რომ ქვეყნის პირველი რანგის მოხელე და უდიდესი სასაზღვრო პროვინციის განმგებელი ვარსქენ პიტიახში სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის გზაზე დამდგარა.

იაკობ ხუცესის თხზულებაში ქართლის მეფე სრულიად არა ჩანს. ვარსქენი თავისი მხარის სრულუფლებიანი განმგებელია. იგი დამოუკიდებლად ამყარებს საგარეო-პოლიტიკურ კონტაქტებს და შორეულ ლაშქრობებშიც მონაწილეობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვარსქენმა დამოუკიდებლობის მისაღწევად ისარგებლა ვახტანგ გორგასლის იმ ხანებში სპარსეთში ყოფნით. ასეა თუ ისე, სპარსეთის წინააღმდეგ 484 წლის აჯანყების წინ ვახტანგ გორგასალმა ვარსქენი მოაკვლევინა, უეჭველია იმიტომ, რომ იგი ხელს უშლიდა „ყოველი ქართლის“ გაერთიანებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დიდ საქმეს. ჩვენ არ ვიცით, გაეზრებული ჰქონდა თუ არა შუშანიკს, რომ თავისი მოწამეობით დიდ პოლიტიკურ კოლიზიებში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სომეხი ქალი ერთიანი ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის თავდადებულთა ბანაკში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, შუშანიკი და ვარსქენი იყვნენ პირველი მსხვერპლნი ვახტანგ გორგასლის მეთაურობით დაწყებული დიდი საერთო კავკასიური აჯანყებისა, ოღონდ შუშანიკი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა და ასე დარჩა სამუდამოდ, ვარსქენს კი წილად ხვდა სამშობლოს და მამა-პაპათა მრწამსის მოღალატის სახელით შეხვედროდა თანამედროვეთა და ისტორიის განაჩენს.

З. Н. АЛЕКСИДЗЕ

ШУШАНИК — ИНТЕРНАЦИОНАЛЬНАЯ СВЯТАЯ

Резюме

Мученичество Шушаник и возникновение ее культа совпали с нейтральным отношением кавказских церквей к спору между монофизитами и диофизитами. Сама мученица оказала большую услугу с одной стороны грузинской национальной церкви в ее борьбе против маздеизма, с другой же — армянской церкви в укреплении армянской общины цуртавской епархии. Благодаря этому Шушаник приобрела имя всекавказской святой и была причислена к лику святых как диофизитской, так и монофизитской церкви.